



# ჩემი საქართველო



№89, აპრილი, 2024

რუსთავის აკადემიური ქალაქის საგანმანათლებლო-შემეცნებითი გაზეთი გათეთვის, ვისაც ცოდნის გარდაუვალი სურვილი აქვთ, ლიდერობა სურთ და პროფესიონალიზმს უსწრაფობენ!



ღმერთმა დალოცოს რუსთავის აკადემიური ქალაქის რექტორატი, პროფესორ-მასწავლებლები, ტექნიკური პერსონალი, სტუდენტი-ახალგაზრდონა და მათი მშობლები

ჩილია  
სტუდენტები  
აქოლეს სტუდენტი

## ჩვენი ენა ქართული...

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?... სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენი მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას... ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს...“

გვმოდერავს ერის მამა, ილია ჭავჭავაძე. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც საკუთარ ენას, დედაენას ძეგლი დაუდგეს. დიახ, ძეგლი თბილისში, დედაენის ბაღში დგას და მის ირგვლივ ყოველდღე უამრავი ადამიანი სეირნობს.

განსაკუთრებით ბევრი ხალხი, ტრადიციულად აქ 14 აპრილს იკრიბება, და ქართული ენის დღეს აღნიშნავს.

ამ დღეს იმ მოვლენებსაც იხსენებენ, რომელიც 1977 წელს განვითარდა. მაშინ საბჭოთა კავშირში ახალი კონსტიტუცია მიიღეს და ყველა მოკავშირე ქვეყნის სახელმწიფო ენად რუსული ენის გამოცხადება გადამწყვეტს, დიახ 1977 წელს, ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღების შემდეგ, საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ შეიმუშავა კონსტიტუციის გეგმა, რომელიც, 1936 წლის კონსტიტუციისგან განსხვავებით, ქართული სახელმწიფო ენად აღარ იყო გამოცხადებული. 1978 წელს საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ მოკავშირე რესპუბლიკებში ადგილობრივი ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამორთმევა გადაწყვიტა. სსრკ-ის სახელმწიფო ენად მხოლოდ რუსული ენა რჩებოდა.

75-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ქართული ენა კარგავდა სახელმწიფო ენის სტატუსს, ასეთი იყო: „საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის. საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა ამ ორგანოს და დაწესებულებაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული, აგრეთვე იმ ენებისა, რომლითაც მოსახლეობა სარგებლობს. რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება.“

კრემლის ინიციატივას თბილისში მასობრივი საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა.

1978 წლის 14 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან რუსთაველის გამზირისაკენ 15 000-მდე ადამიანი დაიძრა. სტუდენტებსა და ინტელიგენციის წარმომადგენლებს სხვა მოქალაქეებიც შეუერთდნენ და

რუსთაველის გამზირზე თითქმის 100 000 ადამიანი შეიკრიბა.

რატომ შეცვალა გადანწყვეტილება დათმობებს შეუწყვეტელმა საბჭოთა კავშირმა? ამაზე ისტორიკოსებს ასეთი პასუხი აქვთ:

„14 აპრილს ძალიან კარგად ჩანდა, რომ ბოლო წუთამდე ეს გადანწყვეტილება არ იყო მიღებული. მასსოვს პირდაპირი ეთერი იყო, სადაც ჩანდა შევარდნაძე როგორ წელავდა სიტყვას, რომ მოსკოვს პარალელურად გადანწყვეტილება მიეღო.“

მე ვფიქრობ, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო რუსი მეორე მდივანი საქართველოს კომუნისტური პარტიისა – კოლბინი, რომელმაც გადანწყვიტა, რომ ძალადობა საჭირო არ იყო, არადა ყველაფერი მზად იყო. საბოლოოდ ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ დათმობაზე წასვლა შესაძლებელი იყო რადგან სხვა მექანიზმებიც არსებობდა რუსიფიკაციისათვის.“

„მაშინ ჯერ კიდევ იყვნენ ის ადამიანები ვინც აცნობიერებდა რა მოჰყვებოდა და მეორე იყვნენ ისეთებიც ვისაც უნარი ჰქონდა, რომ სხვებისათვის გადაეცათ, ეს რომ დაგვარგოთ ამით რა მოხდება, რა შედეგი დადგება“ – ამბობს რამაზ ჭილაია.

ქართული ენის დასაცავად გამართული პროტესტის ხმამ დასავლეთამდეც მიაღწია. 1978 წლის 15 აპრილს ამერიკული გაზეთი „ნიუ-ორკ თაიმსი“ საბჭოთა საქართველოში ქართული ენის გადარჩენაზე წერდა:

„თბილისიდან მონოდებული ინფორმაციის თანახმად, 20 000-მდე დემონსტრანტი ქუჩაში გამოვიდა და საქართველოს კომუნისტური პარტიის სათაო ოფისის წინ შეიკრიბა, ისინი აპროტესტებდნენ კონსტიტუციის ახალ პროექტს, რომელიც ქართულ ენას, როგორც სახელმწიფო ენას, აუქმებს...“

პროტესტის დასრულებისას გავრცელდა ხმა, რომ საქართველოს პარტიის ლიდერი ედუარდ შევარდნაძე ქართული ადგილობრივი ენის ოფიციალური სტატუსის აღდგენას დათანხმდა. თუ ეს სიმართლეა, ეს იქნება უპრეცედენტო დათმობა. საბჭოთა პრესაში კი არეულობა ნახსენები საერთოდ არ ყოფილა.“

პირველად საბჭოთა კავშირის ისტორიაში, კომუნისტურმა რეჟიმმა უკან დაიხია. ამ დღიდან 14 აპრილი დედაენის დღედ გამოცხადდა.



# გალაკტიონი: “კვლავ გვინათე, როგორც ახლა გვინათე” ...

რუსთავის აკადემიური ქალაქი თავისი 17 კორპუსით და ძალიან საინტერესო ყოველდღიურობით.

მისი ისტორია თვით ბატონ გარი ჩაფიძის ბიოგრაფიაა. მან შექნა და დღესაც აგრძელებს ამ საგანმანათლებლო სივრცეში ნოვატორობას, მოზარდ თაობასთან მუდამ ისეთ კავშირს, რომელიც სიკეთიდან სიკეთისაკენ მიემართება და ბევრ ახალგაზრდას იზიდავს.



იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციით გვსურს დავინყოთ თხრობა, რომ ქართული მწერლობის მოყვარულთ გაავაგებინოთ:

საყურადღებოა, რომ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან ქ. თბილისში ფუნქციონირებს გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატორთა კავშირი, რომელმაც, რამოდენიმე წელია, ბინა რუსთავის აკადემიურ ქალაქში დაიდო და მისი თავმჯდომარეა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორი, მწერალი, აკადემიკოსი გარი ჩაფიძე.

მოადგილე – ამავე ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, პოეტის ქალბატონი ნინო კაკიაშვილია. ამ საგანმანათლებლო ცენტრში, ქვემო ქართლისა თუ რესპუბლიკის მასშტაბით უამრავი საინტერესო ღონისძიება ტარდება, რაც მიზნად ისახავს ახალგაზრდების ეროვნული სულიკვებით აღზრდას.

მორიგი ღონისძიება აკადემიურ ქალაქში მას შემდეგ დაიწყო, რაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან ოფიციალური ნებართვა იქნა მიღებული, გალაკტიონის უკვდავო ფიგურის აღსანიშნავად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საგანმანათლებლო სივრცეში – საჯარო თუ კერძო სკოლებში, ჩატარებულიყო ლიტერატურული კონკურსი სახელწოდებით – “თანამედროვე გალაკტიონი”. ინფორმაცია, ღონისძიების თაოსნებმა, ქვეყნის ყველა რეგიონში გაავრცელეს და შედეგმა ც მოლოდინს გადააჭარბა. ლიტერატურულ კონკურსში გალაკტიონის თემაზე 3000-ზე მეტი მოსწავლე ჩაერთო და მასალებიც ინტენსიურად გამოიგზავნა აკადემიურ ქალაქში, რამაც აშკარად მიუთითა იმაზე, რომ ჩვენი ახალგაზრდები ღრმად და საინტერესოდ ეცნობიან ერის სახელოვან ადამიანთა სახელებს, მათ ბიოგრაფიებს, სწავლობენ შემოქმედებას.

აქვე ხაზგასმით და გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ კონკურსის მონაწილეთა რიცხვი დედაქალაქიდან თუ სხვა პერიფერიული ქალაქებიდან (თვით რუსთავიდან) ნაკლები იყო.

ჭარბობდა სოფლის საჯარო თუ კერძო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა, მათი და პედაგოგების დაინტერესება, რაც მიზნად ისახავს მოსწავლის პოტენციური უნარის გამოვლენას და სურვილს, თავი ისახელოს, თავისივე შემოქმედებითი მიღწევით.

მოკლედ, ადიგენით დაწყებული და ხულოთი დამთავრებული, ქვეყნის ყველა რეგიონიდან გამოგზავნილი მოსწავლეთა წერითი ნამუშევრები

დახარისხდა, ნაკითხულ იქნა, შეფასდა და გამარჯვებული ნაწერებიც გამოვლინდა.

მოგვიანებით, თვით მონაწილე პედაგოგ-მოსწავლეთა სურვილით გადაწყდა, საუკეთესო ნაწერებით წიგნის შექმნა. ახლა ეს წიგნი სახელწოდებით – “კვლავ გვინათე, როგორც ახლა გვინათე...” (გალაკტიონი). საქართველოს გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ლიტერატორთა კავშირის ეგიდით გამოცემული, კონკურსის გამარჯვებულ მოსწავლეთა საუკეთესო პოეტური თუ პროზაული ნაწერებით, ყველა ავტორის და გამარჯვებულთა სკოლების ბიბლიოთეკების კუთვნილებაა.

წიგნის პრეზენტაცია, რომლის ორგანიზებას დიდი ძალისხმევა დასჭირდა, კავშირის ხელმძღვანელთა თაოსნობით გალაკტიონის სახლ-მუზეუმში, სოფელ ჭყვიშში ჩატარდა და მართლაც, არაჩვეულებრივ ლიტერატურულ ღონისძიებად იქცა, გამორჩეული მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობით. ღონისძიების ორგანიზატორმა და წამყვანმა ნინო კაკიაშვილმა შეძლო ყველა მოსწავლისთვის დამატებითი თავი გალაკტიონსა და მის პოეზიაზე საუბრით, ამ ღონისძიების იდეაზე ხაზგასმით: ოცდამეერთე საუკუნეში დაბადებული და გაზრდილი თაობის განათლების, გემოვნების, კლასიკური კულტურის მიმართ დამოკიდებულების, პოეტური და სამწერლო უნარის გამოვლენა – დათვალეობაა.

მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ქალბატონი ნინო წლების განმავლობაში იყო ქვემო ქართლის ქართული ენის სინმინდის დაცვის პალატის თავმჯდომარე, რუსთავის მე-15 საჯარო სკოლის დირექტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერ-



სიტეტის ლექტორი... ახლა ის თავის პედაგოგიურ და შემოქმედებით დიდ გამოცდილებას ისევ ახალგაზრდებს ახმარს. ამ თაობის ერთ-ერთი რიგითი წარმომადგენელია მისი შვილიშვილი რუსთავის მე-11 საჯარო სკოლის მოსწავლე-მარიამ მიროტაძე რომლის საავტორო ნაწერი „საქართველო დავაბრუნოთ საქართველოში“, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ წიგნში შესულ ნაწერებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა.

ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსულმა მონაწილეებმა კიდევ ერთხელ მოინახულეს სახელოვანი პოეტის მშობლიური სახაზები, დაათვალიერეს მუზეუმი და იქვე დიდ დარბაზში მისი ლექსების დეკლამაციით თავი მოიწონეს.

...კონკურსი სახელწოდებით – “თანამედროვე გალაკტიონი”, მაღალ დონეზე ჩატარდა. მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილი ნამუშევრები: ესეები, ჩანახატები, ლექსები, მინიატურები – ერთიან და მომავლის საქართველოს გვიხატავს. კონკურსში ყველაზე მასშტაბურად სამტრედია ჩაერთო, ამ რაიონის სკოლების ნიჭიერი, გონიერი, სულითა და ხორციტ მშვენიერი მოსწავლეები: ნოდინო ბელთაძე, რაულ ჩაჩუა, მარიამ ასლანიშვილი, თეკლა მეგენიშვილი, ნანა ლაფაჩი, იოანა სახოკია,

ნინო ბაბირი, ლიზი ამალაბელო, თეა ბაკურაძე, ლიკა მეგენიშვილი, ლელა ცხვარაძე, ნინო ჩაჩუა, ანი კაჭახიძე, თეკლა ძნელაძე, ანი კვანტრიშვილი, ნატალია გაბუნია, მხატვრები: ელენე თევზაძე, ბარბარე მილაძე ... თავიანთი ინიციატივით ნამდვილად მისაბაძნი არიან.

წიგნში დაბეჭდვა დიდი ფუფუნებაა, პასუხისმგებლობა და მოტივაციაა, გზა დაგელოცოთ. სიტყვით განკაცდით და იქართველეთ! არასოდეს დაგავიწყდეთ, რომ თქვენ გალაკტიონის სამშობლოდან ხართ - ასე მიმართა სამტრედიის მე-11 საჯარო სკოლის დამსახურებულმა პედაგოგმა, მათა ლორიამ, შეკრებილ აუდიტორიას, თავისი სკოლის მოსწავლეებს და ყველას, ვისაც გალაკტიონი უყვარს.

იყო სხვა უამრავი გამოსვლა და მადლიერების გამოხატვა ამ ლიტერატურული კონკურსის ჩატარების გამო. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ პედაგოგები: მარიამ ფრანგიშვილი, თამარ ბრეგვაძე, ვენერა გაჩეჩილაძე, ინგა მრელაშვილი, რუსუდან ხარაზი, ირინა გორგაძე, შორენა ბერიშვილი, მათა ბეგაძე, თამილა ოზბეთელაშვილი, ნანა კიკნაველიძე, ლია გულიკაშვილი, მათა ქაჯაია, ნესტან ღამბაშიძე, ზაირა ახალაია, შორენა ბერიშვილი...

სკოლის დირექტორები: ნარგიზა ტყეშელაშვილი (ბზვანის საჯ. სკოლა) ნანა მანჯგალაძე (სამტრედიის მე-11 საჯ. სკოლა), სტელა გიგოლაევა (ლაგოდეხის ახალბედისეულის საჯ. სკოლა), თეონა მეფარიშვილი (შუამთის და ჭყვიშის საჯ. სკოლა), ნატო ესართია (აფხაზეთის მე-14 საჯ. სკოლა), ნაირა ქარუხნიშვილი (რუსთავის მე-11 საჯ. სკოლა)

სტუმრებს ამაღელვებელი სიტყვით მიმართა ჭყვიშის გალაკტიონ ტაბიძის მუზეუმის დირექტორმა – ფერიდე მაკარაძემ.

ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ ასეთი გასვლითი ღონისძიებები და ლიტერატურული კონკურსები ყველაზე უკეთ შეაცნობინებს ჩვენს ახალგაზრდა თაობას, რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი უნდა ვიყოთ, ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად. მთელს მსოფლიოში მისი სახელის წარმოსაჩენად.

ყველა ავტორის ნაწერში მეტნაკლებად დევს პათოსი სამშობლოსა და წინაპრების უდიდესი სიყვარულისა, მშობლიური ქვეყნის დღევანდელი დაფასებისა, უცხოეთში წასულ თანამემამულეთა მიმართ უდიდესი პატივისცემისა და თავიანთი განუშორებელი მიზნისა – სამშობლო უყვარდეთ და სწამდეთ, როგორც თვით პოეტს სწამდა. „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე – რაა მამული?!..“

რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა? გენიოს პოეტს ეს კითხვა სიცოცხლის ბოლომდე არ ასვენებდა. პასუხი ცალსახაა, შთამომავლობა გალაკტიონთან ერთად ცოცხლობს, გალაკტიონი ჩვენი თანამედროვეა.

ლია მარტაშვილი



# 8 პარტი და გაზაფხული ერთად მოგვილოცნია



დიდიდანვე განსაკუთრებული გამოცოცხლება და ხალხმრავლობა იგრძნობოდა ჩვენს აკადემიურ ქალაქში, აქ გაზაფხულის შემობრძანებასა და ქალთა საერთაშორისო დღეს ზეიმობდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯისა და საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის სტუდენტი-ახალგაზრდობა პედაგოგიური სპექტრისა და მოწვეული სტუმრების ჩართულობით.

რექტორმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიქმ გულთბილად მიულოცა დამსწრე საზოგადოებას გაზაფხული და უსურვა, აყვავებულ რტოებთან ერთად,

ყველას ცხოვრება გალამაზებული ყოფილიყო და აღნიშნა, რომ ჩვენი ტრადიციებიდან გამომდინარე, მხოლოდ რვა მარტი კი არა, ყოველი დღე ქალისა და დედისაა... აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა და აკადემიურ ქალაქთან თანამშრომლობის მომავლის პერსპექტივებზე დეტალურად ისაუბრა საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო-საქველმოქმედო საზოგადოება „სალამის“ თავმჯდომარემ მაია რაჯიბოვამ, ხოლო პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობაზე სტუდენტებს მოუთხრო საზოგადოება „სალამის“ ახალგაზრდებთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ფატიმა სამედოვამ.

საქართველოს და აზერბაიჯანის ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შესახებ მოსაზრებები გამოთქვეს საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. რუსთავის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა ქეთევან ცისკარიშვილმა, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ ლეილა გეგეშიძემ, საქართველოს გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ლიტერატურული კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ ნინო კაკიაშვილმა, საქართველოს სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალის „სკოლა და ცხოვრება“ მთავარი რედაქტორის მოადგილემ ეთერ ჭიპაშვილმა, საქართველოს ნოდარ დუმბაძის სახელობის ახალგაზრდა ლიტერატორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ



მაკა სამხარაძემ, კვების ობიექტის თანამშრომელმა ნანა ხომასურიძემ... აქტიურობდნენ სტუდენტებიც: აიშან ბუდაგოვა, რუგაია აგაევა, ალივინა ალიევა, თურჩან ზეინალოვი, გულნარ ალიევა, აიდა ბადიროვა, სამირა ნარსულაევა, მალიქა ზეინალოვა, სამირა ხალიფოვა და სხვები.

შეხვედრის დასასრულს საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო-საქველმოქმედო საზოგადოება „სალამის“ თავმჯდომარემ მაია რაჯიბოვამ, ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ფასიანი საჩუქრებით წაახალისა სტუდენტები და მასპინძელი პედაგოგი ქალბატონები.

# შეხვედრა დმანისის ბუჩიზის დაპარტამენტის წარმომადგენლებთან

დმანისი, საქართველოს ერთ-ერთ თვალწარმტაც ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეში, ქვემო ქართლის რეგიონში მდებარეობს.



დმანისს ჩრდილოეთიდან წალკისა და თეთრიწყაროს; აღმოსავლეთიდან – ბოლნისის, ხოლო დასავლეთიდან – ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები; სამხრეთით – სომხეთის რესპუბლიკა ესაზღვრება. დმანისის მუნიციპალიტეტის საერთო ფართობი 1198,8 კმ2-ს შეადგენს. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქ.დმანისი. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა დაახ. 20 ათას კაცს შეადგენს.

დმანისის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა განსაკუთრებული ლანდშაფტური მრავალფეროვნებით, არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიმრავლით.

დმანისი გვთავაზობს კულტურულ-ისტორიული ადგილების, ბუნების ლირშესანიშნაობებისა და მხარის მოსახლეობის ყოფით-ტრადიციულ, მატერიალური და არამატერიალური კულტურის ელემენტთა უნიკალურ ნაზავს.

დმანისის მხარის ისტორიული მნიშვნელობა განპირობებულია განსაკუთრებული სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროცესებით, რომელთაც საუკუნეების განმავლობაში, ადგილი ჰქონდა, ვითარდებოდა და ყალიბდებოდა ამ მხარეში – კაცობრიობის ადრეული ნაბიჯებიდან დაწყებული, გაგრძელებული მდიდარი ადგილობრივი და მრავალფეროვანი მსოფლიო ცივილიზაციების კულტურული იმპულსებით. დმანისი მონივნებით გვიბიძგებს ვიზოგზაურთა წარსულში, დავაფასოთ ის რთული და მრავალფეროვანი ასპექტები, რომელთა ერთობლიობაც ქმნის მის გასაოცარ ისტორიას. და როდესაც ადამიანები იწყებენ მოგზაურობას ამ მომხიბვლელ მხარეში, ისინი არ არიან მხოლოდ ვიზიტორები; ისინი ბუნებრივად ხდებიან აქ შექმნილი საოცარი ამბის, ეპოპეის მონაწილეები, რომელიც აკავშირებს და აერთიანებს დმანისის წარსულს, აწმყოსა და მომავალს.

დმანისი შესაძლოა ითქვას, რომ კაცობრიობის ისტორიული წარსულის ცოცხალი მატეანეა. ინახავს რა უძველესი კულტურებისა და ცივილიზაციების ნაკვალევს.



მსოფლიოში ცნობილი არქეოლოგიური აღმოჩენების ადგილით, რომელიც წარმოდგენილია უძველესი ჰომინინების ნამარხებით, დმანისი, აქ მოსულ მოგზაურებს აბრუნებს 1,8 მილიონი წლით წარსულში.

დმანისი, თავისი ისტორიის განმავლობაში, ვითარდებოდა და თანაარსებობდა სხვადასხვა ცივილიზაციების გზაჯვარედინზე, რამაც, რასაკვირველია წარუშლელი კვალი დატოვა მის ისტორიულ-კულტურულ ლანდშაფტზე. უძველესი ნამოსახლარებისა და ციხესიმაგრეების კვალი ამ მხარის სტრატეგიულ და განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მეტყველებს. დმანისი მონიშნავს ისტორიის სადაც სხვადასხვა იმპერიების აღზევება და დაცემა ასახული; იგი მონაწილეა ამა თუ იმ ლოკალური თუ გლობალური პროცესებისა რომელთაც განსაკუთრებული ნიშა დაიკავებს ადგილობრივ მრავალფეროვან კულტურულ მემკვიდრეობაში.

ამ დღეებში მაღალი დონის საკონფერენციო შეხვედრა გაიმართა რუსთავის აკადემიური ქალაქის საპარლამენტო დარბაზში ქალაქ დმანისის მერის, ტურიზმის დეპარტამენტის სამსახურის თანამშრომლების: მანანა გავრელაშვილის, ნონა არსიანის, ჯიმშერ ჩხემაიანისა და საფრანგეთიდან. სპეციალურად მოვლინებული სამუზეუმი დარგის სპეციალისტის ფრიდერიკი როინარტის მონაწილეობით, იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის რექტორის, აკადემიკოს გარი ჩაფიქისა და ამავე კოლეჯის ტურიზმის სპეციალისტის გადამზადების ცენტრის ხელმძღვანელის, პროფესორ ლეილა გეგეშიძის ჩართულობით, დაისახა მომავლის პერსპექტივები და მიზანი, ქვემო ქართლის რეგიონის ტურისტული სამსახურის თანამშრომლებისათვის ერთიანი კონფერენციის ჩატარება რუსთავის აკადემიურ ქალაქში...

# პირველი კურსდამთავრებული

იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯი, საგანმანათლებლო სივრცეში, მართლაც და ახალბედაა, თუმცა მისი ჩართულობა, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე რუსთავის აკადემიური ქალაქის, საკუთარი ხელნერის აღმზღელობით სისტემაში, უდიდეს პერსპექტივებზეა გათვლილი, აღნიშნულმა კოლეჯმა ორი წლის წინ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსაგან ავტორიზაცია მიიღო და სასწავლო პროცესიც სახელმწიფო დაფინანსებით წარმართა.

– მიმდინარე სასწავლო წელს, მთავრობის შესაბამისი დადგენილების შესაბამისად, იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართულ კოლეჯში, სახელმწიფო დაფინანსებით ორმოცი სტუდენტი ჩაირიცხა, მოგესხნებათ, ეს რაოდენ დროული, წინგადადგმული და ჰუმანური გადაწყვეტილებაა სწავლას მონაწილეობის ახალგაზრდობისათვის, აღნიშნა ჩვენთან საუბარში კოლეჯის რექტორმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ და დასძინა: – დღესათვის ჩვენთან მხოლოდ ერთი სპეციალობა ფუნქციონირებს: საფინანსო სერვისები! მალე ინტეგრირებული ჯგუფი გაიხსნება სპეციალობით – კომპიუტერული ინჟინერია... იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯი, საშუალებას აძლევს თითოეულ სტუდენტს, შეიქმნას წარმატებული და მეტად საინტერესო მომავალი, სწავლის პროცესი ჩვენთან სახალისო, იმპირირებული, მეცნიერული და თითოეულ თქვენგანზე ორიენტირებულია, ეს იდეალური ადგილია სტუდენტთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლისათვის, თქვენს მიერ დასაუფლებელი პროფესიებით და შესაბამისი მოტივაციით, აუცილებლად ამოხსნით წარმატების ფორმულას! კოლეჯის ეგიდით მალაღ დონეზე წარმართავს მუშაობას მომზადება-გადამზადების ცენტრი, ამჟამად გიდის მიმართულებით, რომელსაც მალე კიდევ ორი მოკლევადიანი კურსი დაემატება: სამედიცინო მიმართულება და სკოლამდელი აღზრდა...

ამ დღეებში კი... პირველი კურსდამთავრებულებისათვის ქართული სახელმწიფო დიპლომების გადაცემის საზეიმო ცერემონია გაიმართა, ახლახანს კი მომზადება-გადამზადების ცენტრის კურსდამთავრებულმა სტუდენტებმა სახელმწიფო სერტიფიკატები მიიღეს...

# ის ჩვენი ქრისტიანთა მკვლელობა!



გაიცანით ლიბერთი შანკის მძინავე თანამშრომელი, ჩვენი კურსდამთავრებული ნაიატა კასუმოვა

## ხელოვნების ფესტივალი

გაზაფხულის დადგომისთანავე, ხელოვნების რესპუბლიკურ ფესტივალს უმასპინძლა, რუსთავის აკადემიურმა ქალაქმა, ტელეკომპანია „ახალის“ და საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის ეგიდით ჩატარებულ აღნიშნულ ფესტივალში, სახელწოდებით „ახალი შანსი“ ორასზე მეტი, ჭეშმარიტი ხელოვანი ახალგაზრდა მონაწილეობდა, დასაწყისშივე განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა დებიუტანტი ნამყვანების მარიამ ნასყიდაშვილის, მარიამ მიქაძის, ლუკა ელიზბარაშვილის და დავით ლაზარის მაღალი დონე და ერუდიცია.

ფესტივალი „ახალი შანსი“ აკადემიური ქალაქის სხვადასხვა ლოკაციაზე ერთდროულად გაიხსნა: დიდმა საკონცერტო დარბაზმა ქორეოგრაფიული სტუდია „მამულიშვილს“ (ხელმძღვანელები: ნონა ფულაძე და კახა გამცემლიძე) უმასპინძლა, ხოლო თეატრალურმა დარბაზმა – საბავშვო მუსიკალურ თეატრს „ჭინჭრაქა“ (ხელმძღვანელი: ბესო ლომსაძე), ქართველი ემიგრანტი პოეტების სოფო ფოცხვერაშვილისა და მზია კანდელაკის, ასევე თამარ მახარაშვილის საბავშვო ნიგნების პრეზენტაცია სარკეების დარბაზში ჩატარდა, სამხატვრო სტუდია „ჰორიზონტის“ (ხელმძღვანელი: დარიკო შარანგია) ორგანიზებით ნახატების და ხელნაკეთი

ნივთების გამოფენა-გაყიდვა ევროპის სამეცნიერო-პედაგოგიური პარლამენტის დარბაზში წარმართა, რომელმაც უდიდესი ინტერესი გამოიწვია...

ხელოვნების ფესტივალის „ახალი შანსის“ მონაწილეებს სიტყვით მიმართეს და წარმატებები უსურვეს აკადემიური ქალაქის რექტორმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ, ტელეკომპანია „ახალის“ გენერალურმა დირექტორმა ქეთი მიქაძემ, ემიგრანტმა ქალბატონებმა: ბელგიიდან – ანა ბალამნარაშვილმა, ამერიკიდან – ირმა შა-



მათავამ, ათენიდან – სოფო ფოცხვერაშვილმა და აღნიშნეს რომ „ახალი შანსი“ სწორედ რომ ახალ შესაძლებლობებს აძლევს ახალგაზრდა შემოქმედ-ავტორებს საკუთარი ნიჭის წარმოსაჩენად.

# გაეოვიდა ქრისტიანული „სკოლა და ცხოვრება“ ახალი ნომერი

წელს საქართველოს სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალს „სკოლა და ცხოვრება“ გამოცემიდან 100 წელი უსრულდება! დიას, ამ საუკუნოვანი ჟურნალის აღდგენა და მრავალათასიანი მკითხველამდე მიტანა, ამ რამოდენიმე წლის წინ ითავა რუსთავის აკადემიურმა ქალაქმა და მესვეურთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას, ჟურნალის მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი გარი ჩაფიძეა, სარედაქციო კოლეგიაში კი ქართული პედაგოგიური მეცნიერების სპექტრისათვის კარგად ნაცნობი პიროვნებები: შალვა ამონაშვილი, არქიმანდრიტი ადამი, ლეილა გეგეშიძე, კახა კობერიძე, ლია მარტაშვილი, ბერიკა შუკაკიძე, სოსო ცოტნიაშვილი, მაია ხაჯიშვილი და მთვარი რედაქტორის მოადგილეები: ზურაბ ცუცქერიძე და ეთერ ჭიპაშვილი შედიან, სწორედ ეთერ ჭიპაშვილს დაევალა ჟურნალის ფუნქციონირებისათვის საკითხების მონესრიგება და მუშაობის წარმართვა, ამ დღეებში კი, მორიგი ნომერიც გამოვიდა 996 (№6), რომელიც 2024 წლის აპრილით თარიღდება, პედაგოგიური ურთიერთობის ხელოვნების შესახებ, ჟურნალის პირველივე გვერდიდან მოგვითხრობს, მთავარი რედაქტორი, აკადემიკოსი გარი ჩაფიძე, ხოლო მოსწავლეებისა და მასწავლებლების ურთიერთობის შესახებ მკითხველს საინტერესო მასალას აწვდის ირინა მელქაძე, ნარატოლოგიის საკვანძო საკითხებზე – თეა გიგინბერია, ხოლო წაკითხული ტექსტის გააზრების პრობ-

ლემებზე ნაზიბროლა მიქელაძე მოგვითხრობს. „სხვა ქვეყნების გამოცდილება კომპლექსური დავალებების შესახებ“ – ასეთია ნინო ბეგაძის, ჟურნალში განთავსებული სტატია. ნათელა ჭინჭარაშვილი, მანანა ბაქრაძე და ფიქრია სიდამონიძე მკითხველთ – თანამედროვე სწავლა – სწავლების გამოწვევების, დაწყებით საფეხურზე ჯგუფური მუშაობის მნიშვნელობის და მშობელთა შემეცნების შესახებ მოუთხრობენ. ვაჟა კანდელაკმა – „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“, მადონა სვანიძემ – „საკლუბო მუშაობა სკოლის ცხოვრებაში“, წელი პაპუკაშვილმა – სასკოლო ტანვარჯიშზე მოუთხრო სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალის მრავალათასიანი აუდიტორიას. საბერძნეთიდან, ქალაქ ათენის, მეფე ვახტანგ მეექვსის სახელობის ქართული საკვირაო სკოლის დირექტორი დარეჯან ლამბაშიძე, საზღვარგარეთ მოქმედი საკვირაო სკოლების ფუნქციონირებაზე ამხვილებს ყურადღებას. „მოსწავლეებში ქცევითი პრობლემების შესახებ“ – მოგვითხრობს ირმა ლანიშვილი... და გამოსათხოვარი, ჟურნალის „სკოლა და ცხოვრება“ სარედაქციო კოლეგიის ორ წევრთან, პედაგოგ-მეცნიერებთან აზა ბუაძესთან და აკაკი ზოიძესთან...

ჟურნალი მაღალი პოლიგრაფიული დონითაა შესრულებული და ქართული სამეცნიერო-პედაგოგიური სპექტრისათვის საუკეთესო შენაძენია...

